



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

### თათეიშვილი თინა (ლელია) გრიგოლის ასული



თ. თ ა თ ე ი შ ვ ი ლ ი  
ცეკვა „ქართული“ (ნ.  
ღვამბერიძესთან ერთად).

თათეიშვილი თინა (ლელია) გრიგოლის ასული (12. I. 1925, თბილისი, - 7. I. 1992, იქვე). მოცეკვავე, საქართველო. დამს. არტისტი (1958). 1943–64 იყო საქართველო. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო. ანსამბლის წამყვანი სოლისტი-მოცეკვავე. ოსტატობითა და გრაციოზულობით ასრულებდა სოლო პარტიებს ცეკვებში „ქართული“, „მთიულური“, „მიპატიჟება“; განსაკუთრებით აღსანიშნავია მის მიერ შესრულებული ცეკვა „ქართული“, რ-საც ახასიათებდა მოძრაობათა სინაზე, სინარნარე, სიმსუბუქე და კლდემაძოცილება. ქართ. ცეკვების ინდივიდ. შემსრულებელთა პირველ რესპ. კონკურსზე 1962 თ-მა ოქროს მედალი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა. ასევე დიდი წარმატებით აღინიშნა მისი მონაწილეობა საქართველო. ლიტ. და ხელოვნ. დეკადაზე მოსკოვში (1958). გასტროლებით შემოიარა სსრკ-ის მრავალი ქალაქი და საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანა. 1959 ვარშავის ოპერისა და ბალეტის თეატრში გამართულ საღამოზე, რ-შიც

მონაწილეობდნენ მოსკო. დიდი თეატრის, ლენინგრადისა და თბილ. ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები, თ-ისა და ნ. ღვამბერიძის მიერ შესრულებულმა ცეკვა „ქართულმა“ განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა. როგორც პოლონური პრესა აღნიშნავდა, „ქართველმა მოცეკვავე ქალმა უაღრესად ძუნწი შტრიხებით გვიჩვენა ივერიელი ქალის სინარნარე და სინატიფე“.